წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 1

ქ. წყალტუბო 17 იანვარი, 2022წელი

2022 წლის 2 იანვარს, 10:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სერგო კირკიტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი დოლიძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, რევაზ დიდავა, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი, მამუკა საღარეიშვილი;

საკრებულოს წევრები: ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, დავით ხიდეშელი, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ბანძელაძე, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, ნოდარ ასათიანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ : არჩილ ღიბრაძე, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, ზურაბ ლექვინაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ფიქრია ერემეიშვილი,გალაქტიონ ხარაბაძე, როინ როხვაძე/რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის/.

სხდომას ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გრიგოლ ყურაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი-მარეხ კანკაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - მალხაზ ჩხეიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ირინა ჩაკვეტაძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე მზია კიკალიშვილი და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა, მან სხდომის მონაწილეებს და საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების განხილვისა და მოწონების შესახებ;
/მომხსენებელი: რევაზ დიდავა/

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/მომხსენებელი: რევაზ დიდავა/

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე-31
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების განხილვისა და მოწონების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-31
წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი საკონკურსო პროექტების იდეების განხილვისა და მოწონების შესახებ" მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერში გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : მამუკა საღარეიშვილმა, კობა გურეშიძემ. მათ ისაუბრეს პანდემიის გამო ქვეყანაში არსებული შეზღუდვების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-31

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერში გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე